

## როგორ გამოვიყენოთ საკლასო დაფა

ზოგადად, ითვლება, რომ საკლასო დაფის გამოყენება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, ამიტომ ამ თემის სათაური შეიძლება ცოტა უცნაურად მოგეჩვენოდ. მაგრამ თითქმის არავის ებაძება კითხვა, რისთვის ვხმარობთ დაფას. იმ შემთხვევაში, თუ დაფას გააზრებულად გამოიყენებთ, თქვენი სტუდენტები უფრო მეტ სარგებელს ნახავენ. ქვემოთ გთავაზობთ რამდენიმე რჩევას იმის შესახებ, თუ რისთვის და როგორ გამოვიყენოთ ამ ტიპის საჩვენებელი მასალა პროფესიულად.

1. **ჩამოაყალიბეთ, რისთვის გჭირდებათ დაფა.** მაგალითად, თქვენ გეგმავთ, რომ სტუდენტები გადაინერგნ დაფიდან რაღაც ინფორმაციას, ან დაფაზე დაწერილი ტექსტი ემსახურება სტუდენტების ყურადღების კონცენტრაციას გარკვეულ დავალებებზე ან დისკუსიაზე.
2. **არ დაწეროთ ძალიან პატარა ასოებით.** დაფაზე დაწერილი ასოების მინიმალური ზომა უნდა იყოს ისეთი, რომ აუდიტორიის ყველაზე შორი მანძილიდან ჩანდეს.
3. **იზრუნეთ ინფორმაციის მიწოდების სხვა ხერხებზე.** ხშირად, უფრო ადვილია დაურიგოთ სტუდენტებს წინასწარ შედგენილი და ამობეჭდილი ინფორმაცია, ვიდრე დაწეროთ დაფაზე. ეს დაგიზოგავთ დროს მეცადინეობის სხვა ფორმებისათვის (დისკუსიისათვის ან გონებრივი იერიშისთვის).
4. **გამოიყენეთ დაფა ახალი იდეების დასაწერად.** იმ შემთხვევაში, თუ მეცადინეობის დროს გაჩნდება ახალი იდეები, მაშინვე დაწერეთ ისინი დაფაზე. ეს მოგცემთ საშუალებას, მოგვიანებით დაუბრუნდეთ მათ. ეს ხერხი, მით უფრო, სასარგებლოა, თუ იდეა ინვესტს აზრთა სხვადასხვაობას. ბევრად უფრო კარგია დაუთმოთ დრო იდეის განხილვას, ვიდრე არ მიაქციოთ მას ყურადღება და მოახდინოთ მისი იგნორირება.
5. **თქვენი ჩვეულებრივი ხელწერა არ არის საუკეთესო ვარიანტი დაფისთვის.** იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ გაქვთ ლამაზი ხელწერა, დაფაზე უკეთესია დაწეროთ დიდი, ადვილად გასარკვევი ასოებით. გაკრული ხელით დაწერილი ტექსტი ხანდახან კარგად იკითხება წინასწარ გამზადებულ პლაკატზე, მაგრამ, როგორც წესი, იგი დაფაზე მკაფიოდ არ ჩანს.
6. **დაწერეთ თემისები, და არა ვრცელი წინადადებები.** ვრცელი წინადადების დასაწერად ბევრი დრო დაგჭირდებათ, რამაც შეიძლება სტუდენტის ვალიზიანება გამოიწვიოს და ინტერესი დაუკარგოს.
7. **ცარცის ჭრიჭინი აღიზიანებს ყველას.** უმეტესობას ეს სკოლიდან ახსოვს, თუ თქვენ ცარცს შუაზე გადაამტვრევთ, არაფერ არ შეწუხდება.
8. **თუ აუდიტორიაში თეთრი დაფა გაქვთ, აარჩიეთ შესაფერისი ფლომასტერი.** გადაამოწმეთ, იშლება თუ არა თქვენი ფლომასტერი დაფიდან. აგრეთვე, ფლომასტერის სანერი ღეროს სისქე აუდიტორიის ზომის პროპორციული უნდა იყოს, რათა ყველა წერტილიდან კარგად იკითხებოდეს.
9. **აარჩიეთ ფერები.** ერთი და იგივე ფერით წერა მოსაწყენია. ფერადი წარწერა დაგეხმარებათ საჭირო პუნქტების ან უფრო მნიშვნელოვანი მომენტების გამოყოფაში.
10. **არ წაშალოთ დაფიდან ძალიან ჩქარა.** თუ თქვენ დაფიდან ჩანაწერს იმდენად სწრაფად წაშლით, რომ სტუდენტები ვერ მოასწრებენ არა მარტო ჩანწერას, არამედ წაკითხვასაც კი, მათ მოეჩვენებათ, რომ მანიპულაციის ობიექტები გახდნენ.